ქართული

როგორც მეორე ენა

6

ნონა არევაძე-კოტორაშვილი
ზეინაბ ბერაძე, ნათია მანია, ნონა მიქელაძე
ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე
გიორგი ჭაუჭიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს.

სარჩევი

პირველი ევროპელები	4
რთველი	10
ხასიათი	14
სკოლა	18
მეგობრობა	22
იყავი ჯანმრთელი!	28
მზე და მთვარე	32
გაზაფხულის დღესასწაულები	36
საყიდლებზე	40
მოგზაურობა	44
ქართული ზღაპარი	50
ტომ სოიერის თავგადასავალი	56
დამატებითი საკითხავი	62

1

პირველი ევროპელები

ისაუბრე

დავალება 1. დააკვირდი ილუსტრაციას და ისაუბრე ქვემოთ მოცემული შეკითხვების მიხედვით.

1. სად არიან ბავშვები?

ა. ისტორიულ მუზეუმში ბ. ანატომიურ დარბაზში გ. ნახატების გამოფენაზე

2. რას ათვალიერებენ ისინი?

ა. ძველი მხატვრების ნახატებს

ბ. უძველესი ადამიანის ნაშთებს

გ. გარეული ცხოველების ძვლებს

3. ისტორიის რომელი პერიოდის დარბაზში არიან ბავშვები?

ა. რკინის ხანის ბ. ბრინჯაოს ხანის გ. ქვის ხანის

დავალება 2. **დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სიტყვებს. ამათგან რომელი გვხვდება ნახატზე (გვ. 4)? ზოგი სიტყვის ამოცნობაში დაგეხმარება სიტყვის პირამიდები.**

მუზეუმი • უძველესი ადამიანი • ქვის იარაღები
გამოქვაბული • ძვალი • თავის ქალა • ნაშთი • ნაყოფი



როგორც ხედავ, „პირამიდების“ ზედა უჯრაში წერია სიტყვა, შუა უჯრაში ახსნილია, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა, ხოლო ქვედა უჯრაში წერია წინადადება, რომელშიც გამოყენებულია ეს სიტყვა.

დავალება 3. **დააკვირდი ილუსტრირებულ ლექსიკონს და თქვი, როგორ არის ეს სიტყვა შენს მშობლიურ ენაზე:**



მუზეუმი

უძველესი ადამიანი

ქვის იარაღები

ძვალი

თავის ქალა

გამოქვაბული

სავარჯიშო 4 შეასრულე რვეულში.

წაიკითხე

უძველესი ადამიანები

უძველესი ადამიანები გამოქვაბულებში ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობდნენ. ერთ ჯგუფში ხშირად 30-40 ადამიანი იყო. ისინი ჭამდნენ ცხოველების ხორცსა და მცენარეების ნაყოფს, ფესვებს, სხვადასხვა ბალახს.

მათი ძირითადი საქმიანობა იყო ცხოველებზე ნადირობა, თევზაობა, მცენარეებისა და მათი ნაყოფის შეგროვება. კაცებიც და ქალებიც გამოქვაბულიდან დილით გადიოდნენ: კაცები ნადირობდნენ, ქალები სხვადასხვა ნაყოფს აგროვებდნენ.

თავიდან ადამიანმა არ იცოდა ცეცხლის გამოყენება. შემდეგ ისწავლა და დაიწყო ხორცის შეწვა. ასევე, ისწავლა ჭურჭლის დამზადება, ტანსაცმლის კერვა და ქსოვა.

უფრო გვიან ადამიანებმა ცხოველები მოიყვანეს შინ და ასე გაჩნდნენ შინაური ცხოველები: ძაღლი, ცხვარი, ძროხა, ცხენი, ქათამი.

საინტერესოა, რა იარაღებით მუშაობდნენ უძველესი ადამიანები? ისინი იარაღებს ამზადებდნენ მაგარი ქვისგან, მაგალითად, კაჟისგან. ამიტომ ამ პერიოდს ისტორიაში უწოდებენ ქვის ხანას. ხოლო ადამიანებს – ქვის ხანის ადამიანებს.

პირველი ადამიანები აფრიკაში გაჩნდნენ. შემდეგ ისინი გამრავლდნენ და სხვა კონტინენტებზეც გადავიდნენ. ამბობენ, რომ პირველმა „ევროპელმა“ ადამიანმა საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო ცხოვრება.

დავალება 5. უპასუხე შეკითხვებს:

ა. სად ცხოვრობდნენ უძველესი ადამიანები?
ბ. რით იკვებებოდნენ ისინი?
გ. რას საქმიანობდნენ უძველესი ადამიანები?
დ. რისთვის იყენებდა უძველესი ადამიანი ცეცხლს?
ე. სად ცხოვრობდნენ პირველი ევროპელები?

დავალება 6. სწორია თუ არა წინადადებები?

ა. უძველესი ადამიანები ჯგუფებად ცხოვრობდნენ და თითოეულ ჯგუფში 5-6 წევრი იყო.
ბ. ქალები ნადირობდნენ, ხოლო კაცები სხვადასხვა მცენარის ნაყოფს აგროვებდნენ.
გ. უძველესი ადამიანები იარაღებს რკინისგან ამზადებდნენ.
დ. ამ პერიოდს ქვის ხანას უწოდებენ იმიტომ, რომ ადამიანები იარაღებს ქვისგან ამზადებდნენ.
ე. აფრიკიდან ევროპისკენ წამოსული პირველყოფილი ადამიანები თავდაპირველად საქართველოში დასახლდნენ.

სავარჯიშო 7 შეასრულე რვეულში.

გრამატიკული ბლოკი

დავალება 8. ა. **დააკვირდი.**

ყურადღება მიაქციე:

აწმყო – **ადამიანი** ნადირობს. უწყვეტელი – **ადამიანი** ნადირობდა.
წყვეტილი – **ადამიანმა** ინადირა.
მაგრამ წყვეტილი: **ადამიანი** წავიდა.

ზმნის საწყისი ფორმა	აწმყო	წარსული უწყვეტელი	წარსული წყვეტილი
ნადირობა	მე ვნადირობ შენ ნადირობ ის ნადირობს ჩვენ ვნადირობთ თქვენ ნადირობთ ისინი ნადირობენ	მე ვნადირობდი შენ ნადირობდი ის ნადირობდა ჩვენ ვნადირობდით თქვენ ნადირობდით ისინი ნადირობდნენ	მე ვინადირე შენ ინადირე მან ინადირა ჩვენ ვინადირეთ თქვენ ინადირეთ მათ ინადირეს
კერვა	მე ვკერავ შენ კერავ ის კერავს ჩვენ ვკერავთ თქვენ კერავთ ისინი კერავენ	მე ვკერავდი შენ კერავდი ის კერავდა ჩვენ ვკერავდით თქვენ კერავდით ისინი კერავდნენ	მე შევკერე შენ შეკერე მან შეკერა ჩვენ შევკერეთ თქვენ შეკერეთ მათ შეკერეს
ქსოვა	მე ვქსოვ შენ ქსოვ ის ქსოვს ჩვენ ვქსოვთ თქვენ ქსოვთ ისინი ქსოვენ	მე ვქსოვდი შენ ქსოვდი ის ქსოვდა ჩვენ ვქსოვდით თქვენ ქსოვდით ისინი ქსოვდნენ	მე მოვქსოვე შენ მოქსოვე მან მოქსოვა ჩვენ მოვქსოვეთ თქვენ მოქსოვეთ მათ მოქსოვეს
დამზადება	მე ვამზადებ შენ ამზადებ ის ამზადებს ჩვენ ვამზადებთ თქვენ ამზადებთ ისინი ამზადებენ	მე ვამზადებდი შენ ამზადებდი ის ამზადებდა ჩვენ ვამზადებდით თქვენ ამზადებდით ისინი ამზადებდნენ	მე დავამზადე შენ დაამზადე მან დაამზადა ჩვენ დავამზადეთ თქვენ დაამზადეთ მათ დაამზადეს

ბ. **დაასრულე წინადადებები:**

რაზე ნადირობდა პირველყოფილი ..... ? (**ადამიანი** თუ **ადამიანმა**?)
კარგად ინადირეს ..... ? (**ბიჭები** თუ **ბიჭებმა**?)

სავარჯიშოები 9-10 შეასრულე რვეულში.

დავალება 11. ა. **დააკვირდი:**
ნადირობა – საქმე,
მონადირე – ის, ვინც ამ საქმეს აკეთებს, ნადირობს.
დაიმახსოვრე საქმიანობის აღმნიშვნელი (ხაზგასმული) სიტყვები:

შეგროვება – შემგროვებელი	ნადირობა – მონადირე
ცხობა – მცხობელი	ცეკვა – მოცეკვავე
სწავლება – მასწავლებელი	ფარიკაობა – მოფარიკავე
შენება – მშენებელი	თევზაობა – მეთევზე
სიმღერა – მომღერალი	ცურვა – მოცურავე
ქსოვა – მქსოველი	კერვა – მკერავი

ბ. **ნიმუშის მიხედვით დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ:**

– ვინ არის შემგროვებელი?
– შემგროვებელია ის, ვინც აგროვებს.

– ვინ არის მონადირე?
– მონადირეა ის, ვინც ნადირობს.

სავარჯიშოები 12-13 შეასრულე რვეულში.

01

დავალება 14. **მოისმინე აუდიოჩანაწერი და დაასახელე სწორი წინადადებები:**

ა. საუბარი ხდება მუზეუმში და გიდი ესაუბრება ბავშვებს.
ბ. საუბარია დმანისელი ადამიანების შესახებ.
გ. ცხოველებზე არავინ საუბრობს.
დ. გიდი ამბობს, რომ საქართველო „პირველი ევროპელების სამშობლოა“.

სავარჯიშოები 15-16 შეასრულე რვეულში.

დავალება 17. ა. **დააკვირდი და შემდეგ შეასრულე რვეულის სავარჯიშო 18.**

წყვეტილი: ბავშვმა დაწერა. **II კავშირებითი:** ბავშვმა დაწეროს.

ზმნა **წყვეტილშია**	**ზმნა** **II** **კავშირებითშია**
ბავშვმა საშინაო დავალება ნახევარ საათში **დაწერა.**	ბავშვმა საშინაო დავალება ნახევარ საათში უნდა **დაწეროს.**
საუბრის დაწყების წინ მოსწავლემ ხელი **ასწია.**	საუბრის დაწყების წინ მოსწავლემ ხელი უნდა **ასწიოს.**
მუზეუმის ექსპონატს სტუმარმა ხელი **შეახო.**	მუზეუმის ექსპონატს სტუმარმა ხელი არ უნდა **შეახოს.**

წყვეტილი	II კავშირებითი
მე წავიკითხე შენ წაიკითხე მან წაიკითხა	მე წავიკითხო შენ წაიკითხო მან წაიკითხოს
ჩვენ წავიკითხეთ თქვენ წაიკითხეთ მათ წაიკითხეს	ჩვენ წავიკითხოთ თქვენ წაიკითხოთ მათ წაიკითხონ

ბ. დაასრულე წინადადება:

ლალიმ ზაფხულში ბევრი წიგნი ..... (**წაიკითხა** თუ **წაიკითხოს**?)
ლალიმ ზაფხულში ბევრი წიგნი უნდა ..... (**წაიკითხა** თუ **წაიკითხოს**?)

სავარჯიშო 18 შეასრულე რვეულში.

დავალება 19. წაიკითხე მუზეუმში ქცევის წესები და უპასუხე შეკითხვებს.

როგორ უნდა მოიქცეთ მუზეუმში

- არ იხმაუროთ.
- ხმადაბლა უნდა ისაუბროთ.
- არ ირბინოთ.
- ექსპონატებს ხელით არ შეეხოთ.
- ნებართვის გარეშე არ გადაიღოთ ფოტოები.
- ქურთუკები და ჩანთები შესასვლელში უნდა დატოვოთ.
- ბილეთები მუზეუმში შესვლამდე უნდა აიღოთ.

ა. როგორ უნდა ვისაუბროთ მუზეუმში?
ბ. შეიძლება თუ არა:
- მუზეუმში სირბილი?
- მუზეუმის ექსპონატების ხელით შეხება?
- მუზეუმში ფოტოების გადაღება?

გ. რა უნდა გავაკეთოთ მუზეუმში შესვლამდე?

სავარჯიშოები 20-21 შეასრულე რვეულში.

დავალება 22. როგორ ფიქრობ, რა „კერძებს“ ჭამდნენ უძველესი ადამიანები? გაიხსენე, რომ იმდროინდელი ადამიანები ნადირობდნენ, თევზაობდნენ, აგროვებდნენ სხვადასხვა მცენარის ნაყოფს და ამზადებდნენ საჭმელს.
რვეულში დახატე „სუფრა მილიონი წლის წინ“ და მასზე დააწერე საჭმელების სახელები. მაგალითად, „დაჩამიჩებული ყურძენი“, „ირმის მწვადი“...

პრეზენტაციის დროს აღნიშნე, თითოეული საჭმლის დამზადებისთვის საჭირო ინგრედიენტები ნადირობით არის მოპოვებული თუ შეგროვებით.

მაგალითად: დაჩამიჩებული ყურძენი (შეგროვებით)
ირმის მწვადი (ნადირობით)

სავარჯიშოები 23-24 შეასრულე რვეულში.

2

რთველი

ისაუბრე

დავალება 1. დააკვირდი ნახატს და უპასუხე შეკითხვებს.



ა. ვის ეხმარებიან ბავშვები?

ბ. სად არიან ისინი და რას აკეთებენ?

გ. წელიწადის რა დროა ამ ნახატზე? რატომ ფიქრობ ასე?

დ. კიდევ რას საქმიანობენ სოფელში ადამიანები ამ დროს?

დავალება 2. ნახატზე (გვ.10) მოძებნე მოცემული სიტყვები:

ა. ყურძენი, სიმინდი, გოდორი, ვაზი, ვენახი, რთველი, ქვევრი, მარანი, საწნახელი, კასრი.
ბ. გადაწერე ეს სიტყვები რვეულში და მიუწერე განმარტება მშობლიურ ენაზე.

დავალება 3. ნახატის მიხედვით შეარჩიე სწორი პასუხი:

I. რას აკეთებენ ბავშვები?
ა. ყურძენს კრეფენ.
ბ. თამაშობენ.
გ. ვაშლს კრეფენ.

II. სად მიაქვთ მოკრეფილი ყურძენი?
ა. მარანში.
ბ. სახლში.
გ. ბაზარში.

III. როგორ ფიქრობ, რას აკეთებენ მას შემდეგ, რაც ყურძენს საწნახელში ყრიან?
ა. ყურძენს კრეფენ.
ბ. ყურძენს წურავენ.
გ. ყურძენს ჭამენ.

IV. როგორ ფიქრობ, სად ასხამენ დაწურული ყურძნის წვენს?
ა. ქვაბებში.
ბ. ქვევრებში.
გ. საწნახელში.

სავარჯიშო 4 შეასრულე რვეულში.

დავალება 5.
ა. დააკვირდი სიტყვებს და შეასრულე დავალება „ბ“.

კრეფს	–	მოკრიფა	–	მოკრეფილი
წურავს	–	დაწურა	–	დაწურული
წერს	–	დაწერა	–	დაწერილი
აკეთებს	–	გააკეთა	–	გაკეთებული

ბ. ნიმუშის მიხედვით დაასრულე წინადადებები ზეპირად.

ნიმუში: ეს ყურძენი ბიჭებმა დაკრიფეს.
ეს ყურძენი ბიჭების დაკრეფილია.

ეს ყურძენი ბაბუამ დაწურა. ეს ყურძენი ბაბუას ...

ეს გოდორი მამაჩემმა გააკეთა. ეს გოდორი მამაჩემის ...

სავარჯიშო 6 შეასრულე რვეულში.

წაიკითხე

დავალება 7. ა. წაიკითხე ტექსტი და ხაზგასმული სიტყვები დააკავშირე ფოტოებთან.

ღვინის სამშობლო

საქართველო ღვინის სამშობლოა. ქალაქ მარნეულთან აღმოჩენილია მსოფლიოში ყველაზე ძველი ყურძნის ნაშთები. საქართველოს ყველა კუთხეში უამრავი ვენახია. აქ ვაზის მრავალი ჯიში არსებობს.

როგორ ამზადებენ ღვინოს? ჯერ კრეფენ ყურძენს და საწნახელში აგროვებენ. მერე ყურძენს ფეხით წურავენ და დაწურულ წვენს ასხამენ ქვევრებში (ჭურებში). ქვევრში ჩასხმული წვენი ადუღდება და ღვინოდ იქცევა.

ღვინო ერთ-ერთი პოპულარული სასმელია მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, მისი დალევა ბავშვებისთვის არ შეიძლება. თუმცა, ყურძენი და მისი მოდუღებული წვენი, ბადაგი, ძალიან გემრიელი და სასარგებლოა. ბადაგისგან ამზადებენ ფელამუშს და თათარას, ფელამუშში ან თათარაში კი ავლებენ ჩურჩხელებს. ბავშვებს ძალიან უყვართ ჩურჩხელები.

ყურძნის კრეფის პროცესს რთველი ჰქვია და იგი სექტემბერ-ოქტომბერში იმართება. ძველი ქართველები ოქტომბერს ღვინობისთვეს უწოდებდნენ.



ბ. უპასუხე შეკითხვებს:

I. **რის შესახებ არის ტექსტი?**

ა. ღვინის დამზადების შესახებ.

ბ. მსოფლიოში ღვინის პოპულარობის შესახებ.

გ. ღვინის გაყიდვის შესახებ.

II. **რას გვეუბნება პირველი აბზაცი?**

ა. რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.

ბ. რომ საქართველოში ღვინო არაა პოპულარული.

გ. რომ საქართველოში აღმოჩენილია ყველაზე ძველი ღვინის ბოთლები.

III. **რაზე არ არის საუბარი ტექსტში?**

ა. ფელამუშსა და ჩურჩხელაზე.

ბ. ოქტომბრის ძველი სახელის შესახებ.

გ. რა განსხვავებაა ფელამუშსა და თათარას შორის?

სავარჯიშოები 8-10 შეასრულე რვეულში.

02

დავალება 11. დათომ თავის სოფელში დაპატიჟა ეკა, აისუ და გარი. ისინი დათოს ბებიასა და ბაბუას ყურძნის კრეფაში ეხმარებიან. საღამოს ბავშვები სახლში სხედან და მთელი დღის ამბებს იგონებენ. მოუსმინე მათ საუბარს და დაასახელე, რომელია სწორი წინადადება.

ა. გარიმ პირველად მოკრიფა ყურძენი.

ბ. აისუმ ორი კალათა თეთრი ყურძენი მოკრიფა.

გ. ეკას თავიდან არ უნდოდა რთველში წამოსვლა.

დ. დათოს მშობლები და ბებია-ბაბუა ძალიან გახარებულები არიან.

სავარჯიშო 12 შეასრულე რვეულში.

დავალება13. დააკვირდი სიტყვებს ცხრილში და მათი გამოყენებით შედგენილ წინადადებებს. შეასრულე რვეულის სავარჯიშო N14.

<table>
<tr><td>ორი გოდორი</td><td>დათოს სოფელი</td><td rowspan="4">• მინდორში ყურძნით სავსე ორი გოდორი დგას.
• ბავშვები მოკრეფილი ყურძნით ორ გოდორს ავსებენ.
• შავ ყურძენს მხოლოდ სამი ბავშვი კრეფს.
• დათოს სოფელი ძალიან მოსწონთ დათოს მეგობრებს.
• დათოს სოფელში ბევრი სტუმარი ჩადის.
• დათოს ბაბუას მოაქვს შემწვარი სიმინდი.</td></tr>
<tr><td>შავი ყურძენი</td><td>დათოს ბაბუა</td></tr>
<tr><td>ოთხი ბავშვი</td><td>ბავშვის სიცილი</td></tr>
<tr><td>შემწვარი სიმინდი</td><td>დათოს მეგობრები</td></tr>
<tr><td colspan="2">სახელობითი: ოთხი ბავშვი
მოთხრობითი: ოთხმა ბავშვმა
მიცემითი: ოთხ ბავშვს
ნათესაობითი: ოთხი ბავშვის</td><td>ოთხი ბავშვი ყურძენს კრეფს.
ოთხმა ბავშვმა ბევრი ყურძენი მოკრიფა
ოთხ ბავშვს ძალიან უხარია რთველში ყოფნა.
ვენახში ისმოდა ოთხი ბავშვის სიცილი.</td></tr>
</table>

სავარჯიშოები 14-15 შეასრულე რვეულში.